585/1976/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 5 (424)

1976 წლის მაისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 5 (424) მაისი 1976 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა № 688 რუსთავის საარჩევნო ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.
72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ა. თითბერიძის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.
74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 72-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ.
76. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.
77. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების XV მოწვევის საქალაქო საბჭოს მეხუთე სესიის მომზადება-ჩატარების დადებითი გამოცდილების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

78. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურის და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების მოხსენებითი ბარათის თაობაზე „ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში“.

განყოფილება მეოთხე

79. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

80. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. დ. ბერიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

81. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. მამუკაშვილის საქართველოს სარ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

82. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ი. ხელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

83. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. რ. ხვიჩიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

84. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ერევნის დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

85. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. ნადარეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

86. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

87. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში
საინფორმაციო ცნობები
ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

71 № 688 რუსთავის საარჩევნო ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გაწვევის წესის შესახებ" სსრ კავშირის 1959 წლის 30 ოქტომბრის კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს № 688 რუსთავის საარჩევნო ოლქისაგან არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატის გაწვევის თაობაზე კენჭისყრის მომწყობი საოლქო კომისია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო კომისიის თავმჯდომარე

ვახტანგ ივანეს ძე **ულენტი** — რუსთავის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

თეიმურხან სულეიმან ოღლი **ჩავდაროვი** — მარნეულის რაიონის ალგეთის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

საოლქო კომისიის მდივანი

მერაბ ვლადიმერის ძე **ასანიშვილი** — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის რუსთავის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

საოლქო კომისიის წევრები:

ლუდმილა ვასილის ასული **ნოვიკოვა** — რუსთავის ქიმიური ქარხნის ცენტრალური ქიმიური ლაბორატორიის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან;

ვალენტინა კონსტანტინეს ასული **რიჟოვა-უზბეტელაშვილი** — რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან;

თამარ გრიგოლის ასული **კირვალიძე** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის" ლენინის ორდენოსანი № 1 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის პირველადი ორგანიზაციისაგან;

მაია ბაირამ ყზი **გუმბატოვა** — დმანისის რაიონის ეგრისის მერძეველობა-მეკარტოფილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანა სტეფანეს ასული **ფიროსმანაშვილი** — წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

უგურლუ ორუჯ ოღლი **გუსეინოვი** — ბოლნისის რაიონის ფახრალოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან;

ქეთევან მინას ასული **შვანგირაძე** — მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ბოლნისის რაიონული ორგანიზაციისაგან;

აზადა ალაზის ასული **ისკანდაროვა** — მარნეულის საქალაქო საავადმყოფოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის პირველადი ორგანიზაციისაგან;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 7 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

72 ამხ. შ. ა. თითბერიძის საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. შოთა ამბროსის ძე **თითბერიძე** საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 12 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

73 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1976 წლის 21 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 14 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 ამხ. რ. ა. ჯაფარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. რუსუდან ალექსანდრეს ასული **ჯაფარიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 19 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 72-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 72-ე მუხლში და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 72.** ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები;

იმ სახელმწიფო კომიტეტების, სამმართველოების კომისიებისა და მინისტრთა საბჭოს სხვა უწყებების ხელმძღვანელები, რომლებსაც ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად ქმნის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.“

2. ეს ბრძანებულება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

76 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალ. ყურეო კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. გათავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან რუსუდან ალექსანდრეს ასული ჯაფარიძე, ხოლო კომისიის წევრის მოვალეობისაგან — დიმიტრი სარდიონის ძე აბულაძე.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ ლუდოვიკ სიმონის ძე ხარბედია — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანი, ამ კომისიის წევრად — დამიანე ვლადიმერის ძე გოგოხია — საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 28 მაისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

77 ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების XV მოწვევის საქალაქო საბჭოს მეხუთე სესიის მომზადება-ჩატარების დადებითი გამოცდილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. დ. დვალიშვილის ინფორმაცია „ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების XV მოწვევის საქალაქო საბჭოს მეხუთე სესიის მომზადება-ჩატარების ორგანიზაციის შესახებ“, აღნიშნავს, რომ ამჟამად, როცა სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსახლეობის კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებას, მოწონებას იმსახურებს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქმიანობა, რომელმაც საჯაროობის პრინციპების სრული გამოყენებით, მოსახლეობისა და შრომითი კოლექტივების უშუალო მონაწილეობით მოამზადა და საბჭოს სესიაზე განიხილა საკითხი მოსახლეობის კომუნალური მომსახურების, ქალაქის კეთილ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოწყობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ამასთან, საკითხის განხილვის დროს, „საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების შესახებ“ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ წარმოება-დაწესებულებათა წილობრივ მონაწილეობას კეთილმოწყობის, საგზაო სამუშაოების ჩატარებასა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ საბჭოს მეხუთე სესიის მოსამზადებლად გაწეული ორგანიზაციული მუშაობა და ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელდა მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისა და ქალაქის კეთილმოწყობის მიზნით მის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებების სახსრებისა და საშუალებების გაერთიანებისა და გამოყენებისათვის; აგრეთვე სესიის წინა პერიოდში მოსახლეობისა და შრომითი კოლექტივების ინიციატივა და მონაწილეობა კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებასა და კეთილმოწყობაში.

2. საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოხსენებითი ბარათი, აღნიშნულ საკითხზე დაეგზავნოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და დაევალოს მათ: ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გამოცდილების გათვალისწინებით შეიმუშაონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი, კანონის შესაბამისად, რაიონის, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებების სახსრებისა და საშუალებების გამოყენებით, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის მკვეთრად ამაღლებისათვის. მიიღონ ქმედითი ზომები სესიების მომზადება-ჩატარების შემდგომი დემოკრატიზაციისა და სრულყოფისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

78 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების მოხსენებითი ბარათის თაობაზე „ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურის და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების მოხსენებითი ბარათი „ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში“, აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებულ დადგენილებათა შესაბამისად და, განსაკუთრებით, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შემდეგ, რომლებშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საკითხებს, გააქტიურდა ბრძოლა ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ. სამინისტროები, უწყებები, ადგილობრივი საბჭოები ახლა უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ჰაერის, წყლის და, საერთოდ, გარემოს დაცვის საკითხებს. ბევრ სამრეწველო ობიექტში მოეწყო მტვერდამჭერები, აშენდა წყალგამწმენდი და საკანალიზაციო ნაგებობანი და სხვ.

ამასთან, როგორც მუდმივი კომისიების მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. შესაბამისი სამინისტროები, უწყებები და დაწესებულებები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ იღებენ ზომებს ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

მიუხედავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არაერთი დადგენილებისა, ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ქ. თბილისის ფარგლებიდან ზოგიერთი საწარმოს გატანა, ვერ გადაწყდა ქუთაისის საავტომობილო, რუსთავის მეტალურგიულ და ქიმიურ ქარხნებში ელექტროფილტრების რეკონსტრუქციისა და შეცვლის საკითხი; მოუგვარებელია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ახლომდებარე ტერიტორიის გაჭუჭყიანების თავიდან აცილების საქმე.

სერიოზული ნაკლოვანებებია გამწმენდ და საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობის საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. აღინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურის და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების დიდი მუშაობა ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის საკითხის შესწავლასა და განხილვაში. ძირითადად მოწონებულ იქნეს მუდმივი კომისიების მოხსენებითი ბარათი და მასში გათვალისწინებული ღონისძიებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობისა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურის და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების მოხსენებითი ბარათი განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ პასუხი მოთხოვოს იმ სამინისტროების, უწყებებისა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც უგულებელყოფენ ამ საკითხებზე მიღებულ დადგენილებათა შესრულებას.

3. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა გარემოს დაცვის შესახებ არსებული კანონმდებლობის შესრულებისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პ. ბილაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრეზიდიუმის** მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1976 წლის 28 მაისი.

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

79 საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

იურისპრუდენციის დარგში სანგრძლივი და საყოფიერი მუშაობისათვის, ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით, მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება:**

ელენე გიორგის ასულ **აბაშიძეს** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს.

ამალია სუმბათის ასულ **ბალდასაროვას** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

სვეტლანა ვლადიმერის ასულ **ბელიავსკაიას** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების გამგის მოადგილეს.

ელისაბედ ილიას ასულ **მგელაძეს** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების პროკურორს.

ნინო ვასილის ასულ **მირზიაშვილს** — საქართველოს სსრ პროკურორის თანაშემწეს.

ლეილა ივანეს ასულ **ნიკურაძეს** — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ნორა ალექსანდრეს ასულ **ფიფიას** — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

მატისა ლევანის ასულ **ქაჯაიას** — აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

ანა იორამის ასულ **ქუმსიაშვილს** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ მიხეილის ასულ **ჩიქვინიძეს** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ქსენია ივანეს ასულ **ხიდეშელს** — საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილების უფროსის მოადგილეს.

ნინო მიხეილის ასულ **ჯამასპიშვილს** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების უფროს ინსტრუქტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 13 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

80 ამხ. თ. დ. ბერიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ინსტრუქტორი ამხ. თამარ დავითის ასული **ბერიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 13 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

81 ამხ. მ. ი. მამუკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

განათლებისა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური განათლების რესპუბლიკური სახლის ბიბლიოთეკის გამგე მარიამ იოსების ასული **მამუკაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 13 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

82 ამხ. თ. ი. ხელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კომკავშირულ, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი ამხ. თენგიზ იოსების ძე **ხელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 13 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

83 ამხ. ლ. რ. ხვიჩიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და განათლების ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. ლევან რაჟდენის ძე **ხვიჩია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 13 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

84 ერევნის დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქ. თბილისში 1976 წლის მაისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერევნის დრამატული თეატრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 14 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

85 ამხ. ვ. ა. ნადარეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო კონტროლისა და ცენტრალური სტატისტიკის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ამხ. ვლადიმერ არტემის ძე ნადარეიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 20 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

86 სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა საოპერო და საბალეტო ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის, კულტურის ქართველ მოღვაწეთა მრავალი თაობის აღზრდაში დიდი ღვაწლისათვის, დაარსებიდან ორასი წლისთავის აღსანიშნავად, სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 21 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

87 ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტების მომზდების საქმეში დიდი დამსახურებისათვის, დაარსების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, **ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი** დაჯილდოვდეს **საქართვეოლს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს **პრ**ეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1976 წლის 27 მაისი.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე 1976 წლის 28 მაისს განიხილა მიწათსარგებლობის კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის საკითხი და აღნიშნა, რომ მიწის კოდექსის მიღების შემდეგ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და რესპუბლიკის სხვა შესაბამისი ორგანოები, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ უკანასკნელ წლებში მიღებული დადგენილებებით, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რაციონალურად გამოყენების, მიწათსარგებლობის კულტურის ამაღლების, ნიადაგის ეროზიის თავიდან აცილების, სამელიორაციო სამუშაოების ჩატარებისა და მიწის კანონმდებლობის სხვა მოთხოვნათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

მეცხრე ხუთწლედში გატყევებულ იქნა 25,8 ათასი ჰექტარი ეროზიული მიწა. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ათვისებულია 15 ათას ჰექტარზე მეტი გამოუყენებელი მიწა; ეროზიისა და ღვარცოფსაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობას მოხმარდა 28,3 მილიონი მანეთი, გაძლიერდა ბრძოლა იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც უკანონოდ სარგებლობენ სახელმწიფო და საკოლმეურნეო მიწით.

ამასთან, რესპუბლიკის ბევრი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭო ჯერ კიდევ არ იღებს საჭირო ზომებს მიწის კოდექსის მოთხოვნათა დაცვისათვის.

არც თუ იშვიათად მიწათმოსარგებლეები იკავებენ სამეურნეო დანიშნუ-

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლების მიწებს მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებამდე, რაც ეწინააღმდეგება მიწის კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნას.

ლანჩხუთის საშენ მასალათა კომბინატმა მიწათსარგებლობის უფლების გაფორმებამდე დაიკავა ამავე რაიონის საბჭოთა მეურნეობის 14 ჰექტარი მიწა. ხაშურის რაიონის სატყეო მეურნეობამ თვითნებურად დაიკავა სოფელ ალის საბჭოთა მეურნეობის 12 ჰექტარი ნასვენი მიწა და სოფელ ფლავის კოლმეურნეობის 2 ჰექტარი საძოვარი. ანალოგიური მდგომარეობაა ახალციხის, მცხეთის, ქარელისა და სხვა რაიონებში.

ორგანიზაციები, რომლებიც ამუშავებენ სასარგებლო წიაღისეულს, არ იცავენ მიწის კოდექსის 26-ე მუხლის მოთხოვნას და არ აწარმოებენ დროებით სარგებლობაში გადაცემული მიწების გავარგისებას.

უვარგის მდგომარეობაშია მახარაძის რაიონის სოფელ ბოხვაურის კოლმეურნეობის მიერ მაღაროთსამმართველოსათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული სახნავი მიწა. ასევე, ამიერკავკასიის მაგისტრალური გაზსადენის სამმართველომ არ გაავარგისა ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების 64,5 ჰექტარი მიწა, ხოლო საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს აგურის ქარხანამ — კასპის რაიონის თეძამის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის 15 ჰექტარი მიწა და სხვ.

ზოგჯერ ნიადაგი უვარგისი ხდება იმის გამოც, რომ სამშენებლო ორგანიზაციები ყოველთვისარ იცავენ ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის, აგრეთვე მშენებლობის წარმოების დადგენილ წესებს.

არის შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციებისათვის გამოყოფილი მიწები წლობით აუთვისებელია, ხოლო ადგილობრივი ორგანოები არ სარგებლობენ მიწის კოდექსის 36-ე მუხლით მინიჭებული უფლებით და არ აყენებენ საკითხს ამ მიწის ნაკვეთების დაბრუნების შესახებ.

კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ზოგიერთი ხელმძღვანელი კანონის უხეში დარღვევით აძლევს კერძო პირებს საკარმიდამო მიწის ნაკვეთს.

რესპუბლიკის ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ფორმალურად აწარმოებს ნორმის ზევით მიწის ნაკვეთებით მოსარგებლე პირთაგან მიწების ჩამოჭრას, რადგან უმეტეს შემთხვევებში საკარმიდამო ნაკვეთებიდან ჩამონაჭერი მიწები ან გამოუყენებელია, ან მათ ისევ ყოფილი მოსარგებლენი ფლობენ.

მთელი რიგი კოლმეურნეობები უხეშად არღვევენ მიწის კოდექსის მე-60 მუხლის მოთხოვნას და საზოგადოებრივი სარგებლობის მიწებიდან აწარმოებენ საკარმიდამო მიწის ნაკვეთების გამოყოფას.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოები საჭირო ზომებს არ იღებენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი სარგებლობის მიწების მიტაცების წინააღმდეგ და მათზე საცხოვრებელი სახლების თვითნებური მშენებლობის აღსაკვეთად.

რესპუბლიკის მიწის ფონდის გარკვეული ნაწილი სრულყოფილად არ არის ათვისებული იმის გამოც, რომ შესაბამისი სამინისტროები, სასოფლო-სამეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნეო ორგანოები და ადგილობრივი საბჭოები არ ახორციელებენ სათანადო ორგანიზაციულ-სამეურნეო და აგროტექნიკურ ღონისძიებებს ნიადაგების დასაცავად, ამოშრობილი და გაწყლოვანებული მიწების, სათიბების და საძოვრების სრულყოფილად გამოსაყენებლად.

კონტროლს მიწების გამოყენებაზე ხელს უშლის საკადასტრო მონაცემების დაუზუსტებლობა და მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოუწესრიგებლობა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჯეროვან ხელმძღვანელობასა და დახმარებას არ უწევეს ადგილობრივ ორგანოებს მიწათსარგებლობის კანონმდებლობის სწორად გატარების საქმეში, ხოლო მიწათმოწყობის სამსახური ვერ ახორციელებს სათანადო სახელმწიფო კონტროლს მიწების რაციონალურად გამოყენებაზე.

პროკურატურის, სასამართლოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები სისტემატურ ბრძოლას არ აწარმოებენ იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც არღვევენ კანონს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების შესახებ.

სრულიად არადამაკმაყოფილებელია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობა მიწათსარგებლობის კანონმდებლობის განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს, სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გადაჭრით გააუმჯობესონ მუშაობა მიწის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებისათვის და მიიღონ კონკრეტული ზომები ამ საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რისთვისაც საჭიროა განახორციელონ ეფექტური კომპლექსური ღონისძიებანი მიწების დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების ასამაღლებლად, ნიადაგის ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის თავიდან ასაცილებლად, არ დაუშვან მიწების გაჭუჭყიანება, დაჭაობება და სხვა ისეთი პროცესები, რომლებიც აფუჭებენ ნიადაგს; აღმოფხვრან სახელმწიფო და საზოგადოებრივი სარგებლობის მიწების განიავების ფაქტები, ყოველწლიურად ჩაატარონ საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა და გამოვლენილი ზედმეტი ფართობი გადასცენ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს; უზრუნველყონ მიწების ზუსტი აღრიცხვა და დოკუმენტების გაფორმება დადგენილი წესის შესაბამისად; მოსთხოვონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებსა და მოქალაქეებს ზუსტად დაიცვან მიწათსარგებლობის კანონმდებლობა. მიიღონ კანონით გათვალისწინებული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც არღვევენ კანონს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების შესახებ.

საქართველოს სსრ პროკურატურას, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს რეკომენდაცია მიეცა გააძლიერონ ბრძოლა მიწათსარგებლობის კანონმდებლობის მოთხოვნათა დამრღვევების წინააღმდეგ; უზრუნველყონ აღ-

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიშნული კატეგორიის საქმეთა კანონით დაწესებულ ვადებში გამოძიება და განხილვა, პროფილაქტიკური მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესება, მოსახლეობაში მიწათსარგებლობის კანონმდებლობის განმარტება;

საქართველოს სსრ პროკურატურამ უნდა გააძლიეროს საპროკურორო ზედამხედველობა მიწათსარგებლობის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიმდინარეობაზე.

რესპუბლიკურ გაზეთებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა უფრო მეტად გააშუქონ მიწათსარგებლობის კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებული საკითხები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალა საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე სისტემატურად მოისმინონ მიწათსარგებლობის კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა და განახორციელონ ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; ამ საქმიანობაში ფართოდ ჩააბან საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები, აქტივი, აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა თავისი ადგილობრივი ორგანოების ყურადღება უნდა მიაქციოს იმ სერიოზულ დარღვევებს, რომელთაც ადგილი აქვთ მიწის კანონმდებლობის შესრულების საქმეში და მოსთხოვოს მათ გააძლიერონ კონტროლი აღნიშნული კანონმდებლობის ზუსტად გატარებაზე;

1977 წლის მაისში შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულების მდგომარეობა და შედეგი მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რეკომენდაცია მიეცა განიხილოს იმ სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც კანონის შესაბამისად მიწის დროებით გამოყენების შემდეგ არ მოჰყავთ ისინი ვარგის მდგომარეობაში;

შეამოწმოს მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთების ათვისების მდგომარეობა იმ ვარაუდით, რომ შესაბამისი უწყებების მიერ წლების განმავლობაში გამოუყენებელი მიწები დაუბრუნდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

*
* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამავე სხდომაზე მოისმინა საკითხი სკკპ XXV ყრილობის სახელზე შემოსული წერილებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიის წევრის, დეპუტატ ლ. ისაკაძის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცებისა და სახელმწიფო სახსრების ეკონომიურად ხარჯვის მდგომარეობის თაობაზე მუდმივი კომისიის 1973 წლის 6 დეკემბრის დადგენილების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ვ. ესვანჯიამ, ვ. ჯინჯიხაძემ, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ფ. ანანიაშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსმა მ. კოდუამ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ო. ბოჭოიძემ, მარნეულის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. ყულიევმა აღნიშნეს, რომ მუდმივი კომისიის დადგენილების შემდეგ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განსამტკიცებლად.

1974-1975 წლებში აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა 36 შენობა სასოფლო და სადაბო საბჭოსათვის, ბევრი შენობა შეკეთდა. ამავე პერიოდში საბჭოებისათვის გამოყოფილ იქნა 62 მსუბუქი ავტომანქანა და 36 მოტოციკლი, საჭირო ინვენტარი.

ამასთან, სასოფლო და სადაბო საბჭოების მატერიალურ-ფინანსური ბაზის განმტკიცების საქმეში კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია.

ჯერ კიდევ ბევრი სასოფლო, სადაბო საბჭო უზრუნველყოფილი არ არის ადმინისტრაციული შენობით (სიღნაღის, ზესტაფონის, ცხაკაიას, ქედის რაიონები), არ სრულდება მშენებლობის გეგმები. საბჭოებს საკმარისად არ უზრუნველყოფენ ტრანსპორტით, ბევრ საბჭოს აკლია ინვენტარი.

ირღვევა სასოფლო და სადაბო საბჭოების საბიუჯეტო უფლებები (ტყიბულის საქალაქო საბჭო, გორის, მარნეულის, სიღნაღის, ორჯონიკიძის, ლენტეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები).

ნაკლოვანებებია თვითდაბეგვრის თანხების გამოყენების საქმეშიც.

ზემოაღნიშნული ხარვეზები იმის შედეგია, რომ რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები სათანადო დახმარებას და კონტროლს არ უწევენ სასოფლო, სადაბო საბჭოების აღმასკომებს.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ზ. ჩხეიძემ.

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

* *

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის სხდომამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ნეფედოვის მოხსენება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ე. ოშხერელმა, ბ. ბარსუკოვმა. ი. სამადალაშვილმა, ა. ბარისაშვილმა, ვ. ვოლნიმ. საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა, სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ბ. გეჯაძემ, საგეგმო კომიტეტის განყოფილების გამგემ ი. ეფრემოვმა, მშენებლობის სამინისტროს კოლეგიის წევრმა ე. ქარუმიძემ აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ყრილობის წინა პერიოდში, გარკვეული წარმატებებია მოპოვებული სატრანსპორტო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების საქმეში. მწყობრში ჩადგა ავტოვაგზლების შენობები, პროფილაქტორიუმები, მეტი ყურადღება დაეთმო შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, დაიდგა სპეციალური ავტომატები ბილეთებისათვის და სხვ.

ამასთან ერთად, ამ საქმეში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებები.

არასაკმარისად არის გამოყენებული აგრეგატულ-უბნობრივი მეთოდი მოძრავი შემადგენლობის ტექნიკური მომსახურებისათვის.

მთელ რიგ სამგზავრო ავტოსაწარმოებში სათანადო კონტროლი არ არის დაწესებული ტრანსპორტის ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტის ხარისხზე, აგრეთვე ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმებაზე (გურჯაანის, ხაშურის, წალკის, წითელწყაროს, ონის, აბაშის, სამტრედიის რაიონები).

ბათუმის, წალკის, ყვარლისა და სხვა ავტომეურნეობებში საჭირო ყურადღება არ ექცევა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციას.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები სათანადო მზრუნველობას არ იჩენენ მათ ტერიტორიაზე განლაგებულ ავტომეურნეობათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, იშვიათად იხილავენ ამ საკითხებს თავიანთ სხდომებზე და არ სახავენ საჭირო ღონისძიებებს არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

*

* *

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა მისი წევრის, დეპუტატ ა. ბურჯანაძის მოხსენება რესპუბლიკაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

უალკოჰოლო სასმელებით ვაჭრობის მდგომარეობის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუდმივი კომისიის 1974 წლის 8 თებერვლის დადგენილების შესრულების შესახებ.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა: დეპუტატმა ლ. თოფურიამ, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გ. კობლიანიძემ, ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ბ. გრიგალაშვილმა, „ცეკავშირის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ჯ. ზამბახიძემ, კვების მრეწველობის სამინისტროს სამმართველოს უფროსმა რ. დოლიძემ და სხვებმა ილაპარაკეს აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად გაიზარდა უალკოჰოლო სასმელებით მოვაჭრე საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი. მეტი ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი კვების ობიექტებში დიეტური კვების ორგანიზაციის საქმეს.

ამასთან, რესპუბლიკაში უალკოჰოლო სასმელებით ვაჭრობის საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

უმეტესი რაიონებისა და ქალაქების (გურჯაანის, ვანის, ორჯონიკიძის, საჩხერის, გალის, ასპინძის, წყალტუბოს რაიონები, ქ. ქ. გორი და ტყიბული) სავაჭრო ქსელსა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ყოველთვის არა აქვთ უალკოჰოლო სასმელები. შეფერხებებია ბურახით, გაზიანი და მინერალური წყლებით ვაჭრობაში. საჩხერის, ონის, თერჯოლის, ტყიბულის ლიმონათის საწარმოები ხშირად ვერ ასრულებენ გეგმებს სათანადო მასალების უქონლობის გამო. ლაგოდეხის, ასპინძის, გურჯაანის რაიონების ლიმონათის ჩამომსხმელი საამქროების მიერ გამოშვებული პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებსა და ტექნიკურ ნორმებს.

შესაბამისი სამინისტროები, უწყებები, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების ხელმძღვანელები არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს უალკოჰოლო სასმელებით ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის. ამ საქმეში არადამაკმაყოფილებლად მონაწილეობენ საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების და საბჭოების შესაბამისი მუდმივი კომისიები, დეპუტატები. აღმასკომის სხდომებზე იშვიათად იხილება უალკოჰოლო სასმელებით ვაჭრობის მდგომარეობასთან და მის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა გ. გაბუნიამ.

*

* *

მრეწველობის და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ს. რიგვავას მოხსენება ჰაერისა და წყლის გაჭუჭყიანების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომხსენებელმა და კამათის მონაწილე მუდმივი კომისიების წევრებმა დეპუტატებმა ი. უბილავამ, ლ. მარშანიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა გ. ჯავახიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ი. რთველიაშვილმა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ მ. პაპისოვმა, საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ შ. ბეზარაშვილმა, საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ჯ. ქაჯაიამ, „თბილგვირაბმშენის" უფროსმა ვ. გოცირიძემ, თბილისის ქარხნა „ცენტროლიტის" დირექტორმა ჯ. მანჯგალაძემ, კასპის ცემენტის ქარხნის დირექტორმა თ. ალიბეგაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით რიგი ღონისძებები განხორციელდა.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში მოეწყო მტვრისა და გაზის საწმენდი მოწყობილობა, რუსთავის და კასპის ცემენტის ქარხნების საფქვავ საამქროებში რეკონსტრუირებულ იქნა ელექტროფილტრები. ქ. თბილისის ფარგლებს გარეთ გატანილია 8 სამრეწველო ობიექტი. ბევრ საწარმოში დაინერგა ახალი ტექნოლოგიური პროცესები და სხვ.

მეტი ყურადღება ეთმობა წყლის რესურსების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საკითხებს. საექსპლუატაციოდ გადაეცა კომუნალური და სამრეწველო ობიექტების წყლის გამწმენდი 70 ნაგებობა.

ამასთან, რესპუბლიკაში ბრძოლა ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვისათვის ჯერ კიდევ ვერ დგას იმ მოთხოვნათა დონეზე, რომლებიც სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ. არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება საწარმოთა მიერ გაჭუჭყიანებული ატმოსფერული ჰაერის და ნახმარი წყლების გამწმენდი მოწყობილობების და ნაგებობათა მშენებლობა.

არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება ქ. თბილისის ზოგიერთი საწარმოს ქალაქგარეთ გატანის შესახებ.

ავტოტრანსპორტის მეურნეობები, სამინისტროები და უწყებები არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს ძრავაგაუმართავი მანქანების გარაჟიდან გასვლის კატეგორიულად აკრძალვისათვის.

არასრულყოფილად ხორციელდება წყალსატევების დაცვის ღონისძიებანი.

მოქმედ გამწმენდ ნაგებობათა დიდი ნაწილი ტექნიკურად გაუმართავია, მათი მუშაობის ეფექტურობა არ აღემატება 20-30 პროცენტს.

არ არის გამწმენდი ნაგებობანი.

არადამაკმაყოფილებელია საკანალიზაციო მეურნეობის განვითარების ტემპები. სისტემატურად არ სრულდება კანალიზაციის და გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის გეგმები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მრეწველობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა თ. მენთეშაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*

* *

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომამ განიხილა საკითხი ქ. ტყიბულის საქალაქო საბჭოს დაქვემდებარების სასოფლო საბჭოებში საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შესახებ.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები: გ. კურტანიძე, უ. მაჭარაშვილი, ც. ქვარაია, ა. ტომბულოვა, ვ. ქემაშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილე ი. იორდანიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი გ. ბარათაშვილი, ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. ცირეკიძე, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ვ. თავართქილაძე, რომლებმაც აღნიშნეს, რომ უკანასკნელ დროს გარკვეული ღონისძიებები გატარდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საყოფაცხოვრებო მომსახურება ერთ სულ მოსახლეზე გაზრდილია 14 პროცენტით; რენტაბელობამ შეადგინა 13,6 პროცენტი. მიმდინარე წლის იანვარ-აპრილის გეგმა განაღდებულია 100,2 პროცენტით.

ამასთან, ქ. ტყიბულსა და საქალაქო საბჭოს დაქვემდებარების სოფლებში განლაგებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრი ობიექტი ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

არ სრულდება გეგმები მომსახურების ყველა დარგში. შეინიშნება გაფორმების გარეშე დაკვეთების მიღების ფაქტები, ირღვევა შეკვეთების შესრულების ვადები, ხშირად შესრულებული სამუშაო უხარისხოა.

საჭირო ყურადღება არ ექცევა სპეციალისტთა ადგილებზე დამაგრების, მათი შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს.

განსაკუთრებით დაბალია სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე, საქალაქო საბჭოს დაქვემდებარების 45 სოფლიდან 8 სოფელში საერთოდ არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი.

ნელი ტემპით მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების გაფართოება, გამსხვილება და სპეციალიზაცია.

ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სოციალისტური შეჯიბრება, მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვა, მუშაკთა მორალური და მატერიალური წახალისება და სხვ.

ტყიბულის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სასოფლო საბჭოები ჯერ კიდევ სისტემატურ კონტროლს და დახმარებას ვერ უწევენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების საქმიანობას.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა ა. აზიროვმა.

მუდმივმა კომისიებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს სათანადო დადგენილებები.

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-ჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 28 მაისის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დაჯილდოვდა 314 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		24
ქ. გორიდან		2
ქ. ზუგდიდიდან		6
ქ. რუსთავიდან		3
ქ. ტყიბულიდან		12
ქ. ფოთიდან		7
ქ. ქუთაისიდან		6
ქ. ჭიათურიდან		12
აბაშის	რაიონიდან	7
ასპინძის	„	2
ახმეტის	„	1
ბოგდანოვკის	„	7
ბორჯომის	„	7
დმანისის	„	22
ვანის	„	10
ზუგდიდის	„	10
თელავის	„	2
თერჯოლის	„	3
ლაგოდეხის	„	28
მარნეულის	„	34
მახარაძის	„	9
მესტიის	„	8
ონის	„	2
ორჯონიკიძის	„	3
საგარეჯოს	„	18
სამტრედიის	„	5
საჩხერის	„	11
ცაგერის	„	4
ცხაკაიას	„	4
წალკის	„	12
წითელწყაროს	„	3

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალტუბოს	რაიონიდან	10
ჩხოროწყუს	„	5
ხაშურის	„	5
ხობის	„	4
სამხრეთ ოსეთის ა/ო	. . . . .	4

*
* *

სსრ კავშირის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 28 მაისის ბრძანებულებით **„შრომის ვეტერანის“** მედლით დაჯილდოვდა 369 კაცი, მათ შორის

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან		1
თბილისი პირველი მაისის	რაიონიდან . . .	6
„ ორჯონიკიძის	„	35
„ ოქტომბრის	„	62
ქალაქ გორიდან		12
„ ქუთაისიდან		86
ახალქალაქის	რაიონიდან . . .	20
ვანის	„	7
თეთრი წყაროს	„	3
თელავის	„	18
ზუგდიდის	„	17
მაიაკოვსკის	„	5
მახარაძის	„	41
საჩხერის	„	14
წალკის	„	2
წულუკიძის	„	11
წყალტუბოს	„	29

ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1976 წლის 28 მაისის ბრძანებულებით რაიონული დაქვემდებარების ქალაქი წყალტუბო გარდაიქმნა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად.

გაუქმდა წყალტუბოს რაიონი და მასში შემავალი მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოები ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაეცა ქალაქის **საბჭოს.**

წყალტუბოს რაიონული და წყალტუბოს საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) საბჭოების დეპუტატებს შეუნარჩუნდათ რწმუნებანი წყალტუბოს საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების) საბჭოში **მშრომელთა** დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მორიგ არჩევნებამდე.